თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი #16

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 22, სტუდენტები – 2, სულ – 20 წევრი.

დღის წესრიგი

1. საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

2. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 22**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის №16 საბჭოს დღის წესრიგი.

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში დაგეგმილი ცვლილებები, კერძოდ:

1. **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში** საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად შემოთავაზებულია შემდეგი საგნები: „საერთაშორისო მენეჯმენტი“ (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრიდან), „ფასიანი

ქაღალდების ბაზარი“ (ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრიდან), „ტურიზმის პოლიტიკა“ (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრიდან), „მომხმარებელთა ქცევა I“ (მარკეტინგის კათედრიდან), „კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ (საერთაშორისო ბიზნესის კათედრიდან, ამასთანავე ამავე მოდულში არჩევითი საგნის სტატუსით დამატებულია სასწავლო კურსი „საქმიანი თამაშები), „ფირმის მონაცემათა ელექტრონული დამუშავება“ (ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრიდან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრას საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად ახალი სასწავლო კურსის შემოღება მიზანშეწონილად მიაჩნია 2015-16 სასწავლო წლიდან და, აქედან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე მოდულში „საბურალტრო აღრიცხვა“ საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად გათვალისწინებულია კვლევითი პროექტი. ამასთანავე, 2014-2018 წლების პროგრამაში მოდულში „ინფორამციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ სასწავლო კურსის „ეკონომიკური საინფორამციო სისტემების თეორიის“ ნაცვლად მე-8 სემესტრში შემოტანილია „საინფორამციო სისტემები და ტექნოლოგიები ბიზნესში“, ხოლო „ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების თანამედროვე საშუალებების“ ნაცვლად შემოთავაზებულია „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა VB.NET”, სასწავლო დისციპლინა „ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების დაპროექტება“ მე-8 სემესტრიდან გადატანილია მე-7 სემესტრში).

2. **ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში:**

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდულიდან ამოღებულია დისციპლინა „ფირმის მონაცემთა ელექტრონული დამუშავება“, ამ დისციპლინის ნაცვლად მე-3 სემესტრიდან მე-2 სემესტრში გადმოტანილია არჩევითი დისციპლინა “ WEB ტექნოლოგიები“, ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრიდან სასწავლო პროგრამებს/მოდულების ხელმძღვანელებად დასახალებულია პროფ. დ. სიჭინავა და ასოც. პროფ. ე. ლაგვილავა.

გ) სამაგისტრო პროგრამის მოდულიდან „საერთაშორისო ბიზნესი“ ამოღებულია დისციპლინა „საქმიანი თამაშები“ (10 კრედიტი) და მე-3 სემესტრში შეტანილია ახალი სასწავლო კურსი „ოფშორული ბიზნესი“ (5 კრედიტი). ამასთანავე, საგანი „საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა“ გადატანილია სწავლების მე-3 სემესტრში და წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსის სახით „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირებასთან“ და „ოფშორულ ბიზნესთან“ ერთად.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014-18, 2013-17, 2012-16 და 2011-15 წლების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში (იხ. დანართი);
2. შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014-16 წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში (იხ. დანართი);
3. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: ასოც. პროფ. ი. გაგნიძის წერილის შესახებ მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩატარების თაობაზე

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი მ. ნაცვალაძე/

ქ-მა მარინა ნაცვალაძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ი. გაგნიძის წერილი იმის შსახებ, რომ 2015 წლის 19-20 ივნისს ბათუმში დაგეგმილია მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა.“ კონფერენცია მიეძღვნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავის იუბილეს და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი იქნება თანაორგანიზატორი, რის ფარგლებშიც ფაკულტეტი უზრუნველყოფს თსუ-ს სტამბაში კონფერენციის მოხსენებათა კრებული დასტამბვას.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ქ-მა ი. გაგნიძემ ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში დასტამბვის საკითხის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის გამოცემა მოხდეს თსუ-ს სტამბაში;
2. აღნიშნული საკითხის მოგვარება დაევალოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს.

მოისმინეს: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიმართვის შემუშავების შესახებ

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი მ. ნაცვალაძე/

ქ-მა მ. ნაცვალაძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ი. გაგნიძის წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ თსუ-ს საერთაშორისო პოზიციების გასაუმჯობესებლად და უნივერსიტეტის მოდერნიზაციის პროცესის ეფექტიანად განზორციელებისათვის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოზე გახილულ იქნას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი საბჭოს მიმართვის საკითხი, სადაც გამოთქმული იქნება წინადადება ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის მიმართულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჩამონათვალიდან გამოყოფისა და ცალკე კონკურსად გამოცხადების, ან ამ მიმართულებისთვის დამოუკიდებელი ქვოტის გამოყოფის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: 1. შემუშავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიმართვა;

2. მიმართვის ტექსტის მომზადება და გაგზავნა დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე **თ. ბერიძე**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი **მ. ნაცვალაძე**